

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ღრმაღელის  
ადმინისტრაციულ ერთეულში მაჟორიტარი დეპუტატის, კახა თედორაძის  
ანგარიში 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ**

**მოგესალმებით ძვირფასო ამომრჩევლებო!**

წარმოგიდგენთ ჩემს, როგორც საკრებულოს წევრის ანგარიშს, რომელიც შედგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. ის მოიცავს 2018 წელის სამუშაო პერიოდს.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს წარდგინებით მივიღე მონაწილეობა და გავხდი საკრებულოს წევრი ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში.

წარმომადგენლობითი ორგანოს ფუნქციონირებაში ჩართვა ჩემთვის არ იყო მარტივი, იმ პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, რასაც იმ ადამიანების მიერ მონიჭებული მანდატი მაკისრებს, რომლებთან ერთად მშობლიურ ღრმაღელეში ვცხოვრობ.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში უფლებამოსილებას ვახორციელებდი საკრებულოს ორ მუდმივმოქმედ კომისიაში: სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია; სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია. ამავდროულად ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი. მონაწილეობა მივიღე 19 საკრებულოს როგორც რიგით, ასევე რიგგარეშე სხდომაში, 4-ჯერ დავესწარი სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის, ხოლო 6-ჯერ სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის და 11-ჯერ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ფრაქციის სხდომებს.

თითქმის ყოველდღიური შეხვედრა მაქვს ამომრჩევლებთან (მოქალაქეებთან) ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში, მოთხოვნები ძირითადად შეეხებოდა სოციალურ დახმარებებს და ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას. კერძოდ, განვიხილეთ ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა გზების მოხრეშვა - მოასფალტების, სანიაღვრე არხების, სასმელი წყლის, გარე განათების მოწესრიგების და ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მოწყობის საკითხები.

საანგარიშო პერიოდში არაერთ მოქალაქეს გაეწია ჩემს მიერ შუამდგომლობა მედიკამენტებისა თუ საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამის ფარგლებში.

ასევე დახმარება გაეწიათ ოჯახებს, რომელთაც სტიქიის შედეგად დაუზიანდათ სახლის სახურავები.

მოსახლეობასთან ერთად აქტიურად განვიხილავდით აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საკითხებს, შეწამვლითი სამუშაოები 2018 წელს ჩატარდა ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში ოთხ ეტაპად.

საანგარიშო პერიოდში ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში იგეგმება **ღრმაღელე- წყალწმინდის** შემოვლითი (ძველი) გზისა და **ღრმაღელე- ორმეთის** შიდა გზის რეაბილიტაცია. მიმდინარე წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში **ღრმაღელეში, ომფარეთსა და ორმეთში** მოეწყო გარე განათება, ხოლო **წყალწმინდაში** შემოიღობვა სტადიონი.

ჩემი მიზანია, რომ აქტიურად ვიყო ჩართული **ღრმაღელის** ადმინისტრაციულ ერთეულის განვითარებაში, მოსახლეობას დავეხმარო სხვადასხვა პრობლემის გადაჭრაში.

მადლობა მინდა გადავუხადო საკრებულოს მთლიან შემადგენლობას და საკრებულოს აპარატს, რადგან ყველაფერს აკეთებენ იმისათვის პრობლემები არ შემექმნას საკრებულოში მუშაობისას.

კახა თედორაძე



საკრებულოს წევრი  
საკრებულოს წევრები